შეცვლილი გარემოებების ხელშეკრულებასთან მისადაგების სამართლებრივი გამოწვევები და საერთაშორისო სტანდარტები

თამთა ლაზიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი - მაია სულხანიშვილი - სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

”როგორც წარდგენილი აკადემიური ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

თამთა ლაზიაშვილი

22/06/2025

აბსტრაქტი

სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების მიზანი მხარეთა თანასწორობისა და თავისუფლების უზრუნველყოფაა, რაც სახელშეკრულებო სამართლის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს. მხარეთა ურთიერთმფარავი ნებისა და კანონის საფუძველზე დადებული ხელშეკრულება მხარეთა მიმართ მბოჭავია. *„Pacta Sunt Servanda"*, - ხელშეკრულება უნდა შესრულდეს - სახელშეკრულებო სამართლის ფუნდამენტური წესია, რომელიც უზრუნველყოფს სახელშეკრულებო მხარეთა ინტერესების დაცვასა და სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას. თუმცა, მისი მნიშვნელობის მიუხედავად, ის არ არის აბსოლუტური ხასიათის. რიგ შემთხვევებში, მისი მკაცრი იძულება შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს სამართლიანობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებთან. მაშინ, როდესაც ხელშეკრულების დადების საფუძვლად არსებული გარემოებების ცვლილება სახელშეკრულებო მხარისთვის ვალდებულების შესრულებას არაგონივრულად ართულებს, ხელშეკრულების შესრულების აუცილებლობას უპირისპირდება *„clausula rebus sic stantibus"* პრინციპი, რომლის მიხედვითაც, ხელშეკრულება სავალდებულოდ შესასრულებელია მხოლოდ იმ პირობებში, რა პირობებშიც ის გაფორმდა. ამ დაპირისპირების საფუძველზე დამკვიდრდა და შეიძინა მნიშვნელობა შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების ინსტიტუტმა, რომელიც სახელშეკრულებო მხარეთა უფლებებისა და ინტერების დაცვის მექანიზმს წარმოადგენს.

მრავალწლიანი ნორმატიული ისტორიისა და სასამართლო პრაქტიკის მიუხედავად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის გარკვეული წინაპირობები ბუნდოვანი და ხარვეზიანია. წინამდებარე ნაშრომში მიმოხილულია შეცვლილი გარემოებების ინსტიტუტის საფუძვლები და არსი. სასამართლო პრაქტიკასა და საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით, გამოკვეთილია კანონმდებლის შეცდომები მუხლის ფორმირებაში და წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომელთა საფუძველზეც შეცვლილ გარემოებებთან ხელშეკრულების მისადაგების საფუძვლები მეტად განჭვრეტადი და ეფექტური გამოყენების იქნება, სამოქალაქო სტაბილურობისა და სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეთა თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით.

Abstract

The aim of civil law is to ensure the equality and freedom of the parties, which also constitutes one of the core principles of Contract Law. A contract concluded on the basis of mutual consent and in accordance with the law is binding upon the contracting parties. *„Pacta sunt servanda"*- the principle that agreements must be honored — is a fundamental rule of contract law that ensures the protection of the parties' interests and the stability of civil transactions. However, despite its importance, this principle is not absolute. In certain cases, its strict enforcement may conflict with the principles of fairness and good faith. When the circumstances that formed the basis of the contract change to such an extent that the performance of the contractual obligation becomes unreasonably and disproportionately burdensome for one party, the imperative to perform is challenged by the principle of *„clausula rebus sic stantibus"*, which holds that a contract remains binding only under the conditions that existed at the time of its conclusion. It is precisely from the tension between these two principles that the doctrine of adapting contracts to changed circumstances has emerged and gained significance as a mechanism for protecting the rights and interests of contracting parties.

Despite its long-standing normative history and existing judicial practice, Article 398 of the Civil Code of Georgia contains several vague and deficient preconditions. This paper explores the foundations and nature of the doctrine of changed circumstances. Based on court decisions and international standards, the author identifies legislative flaws in the formulation of the norm and presents recommendations aimed at improving its clarity and practical effectiveness, with the broader goal of promoting legal stability and ensuring equality within contractual relations.